

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

GOVERNMENT OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
MINISTRY OF EDUCATION AND CULTURE OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

კულტურული

მემკვიდრეობა აფხაზეთში

CULTURAL HERITAGE
IN ABKHAZIA

თბილისი 2015 TBILISI

სარედაქციო კოლეგია -

ირაკლი გელენავა (მთავარი რედაქტორი)
გიორგი პატაშური
ქეთევან დავითაია

კონსულტანტები -

ნატო კორსანტია
რევაზ ხვისტანი
მურთაზ ურიდია

ტექსტის აწყობა -

ვალენტინა გვაძაბია
ნინო ბერიძე

თარგმნა -

მარიკა ლომაძე
ქეთევან დავითაია

ფოტო მასალა -

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის
სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა
დაცვის სამსახურის არქივი

დენის ბელეცკის პირადი არქივი

EDITORIAL BOARD:

Irakli Gelenava (editor -in- chief)
Giorgi Patashuri
Ketevan Davitaia

CONSULTANTS:

Nato Korsantia
Revaz Khvistani
Murtaz Uridia

TEXT SET-UP

Valentina Gvazobia
Nino Beridze

TRANSLATION:

Marika Lomadze
Ketevan Davitaia

PHOTO MATERIALS:

Archives of cultural property protection department
under The ministry of education and culture of the
Autonomous Republic of Abkhazia

Private Archives of Dennis Beletski

* * *

ისტორიული მოვლენების ლოგიკურ კავშირზე ბევრი დაწერილა და მრავალი საგულისხმო დასკვნა გაკეთებულა. წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და მათი ურთიერთდამოკიდებულება ისტორიულ მოვლენათა თავისებურებებს განსაზღვრავს.

XX საუკუნის ბოლოს საბჭოთა იმპერიის დასუსტება და რღვევა დაიწყო, რის შედეგადაც დადგა განსხვავებული გეოპოლიტიკური რეალობა, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე თითქმის მთელ აზიაში. იწყება ახალი სახელმწიფოების წარმოქმნისა და პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გადანაწილების შეუქცევადი პროცესი. ამ ბოლოქარ ისტორიულ პერიოდში საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადება და ახალი სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება მოახერხა, თუმცა ეს გზა, რომელიც ბევრს მეტად მარტივად წარმოედგინა, ძალიან მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ნათელი გახდა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა, თუ სუვერენიტეტის შენარჩუნება დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და შესაბამის ნაბიჯებს მოითხოვდა. სააშკარაოზე გამოვიდა სეპარატიზმის პრობლემა ქვეყნის ორ ისტორიულ ნაწილში - ცხინვალის რეგიონსა (სამაჩაბლო, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქი) და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა). ორივე შემთხვევაში სეპარატისტულად განწყობილ ძალებს მხარს უჭერდნენ და მართავდნენ რუსეთის რეაქციული ძალები. ყოველივე ამან სათავე დაუდო საქართველო-რუსეთის ომის ახალ ეტაპს, რომელიც პერიოდულად შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე. შედეგად მივიღეთ დანაწევრებული საქართველო, რომლის ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული. ამასთანავე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი (სამაჩაბლო) რუსეთმა აღიარა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულები. სამწუხაროდ, ამ აღიარებას რამდენიმე სახელმწიფოც მიუერთდა.

არსებული რეალობა არ შეიძლება, მხოლოდ XX საუკუნის მიწურულის პოლიტიკური ცხოვრების შედეგად მივიჩნიოთ. ის ორი საუკუნით ადრე დაიწყო, ამ დროის განმავლობაში საქართველოსა და რუსეთს შორის ათეულობით სამხედრო დაპირისპირება ხდებოდა, ასევე მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები ხორციელდებოდა იმ აფხაზეთის მიმართ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის მისაერთებლად მრავალმხრივი მიმართულებით იბრძოდა. ბუნებრივია, მის მიზანში, ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ფასეულობებიც მოექცა, რომლებზეც მათი წარმომავლობის დამადასტურებელი უძველესი ქართული წარწერები თუ ფრესკები იყო შემორჩენილი.

<p>უაკ. (UDC) ????????? გ-458</p> <p>© აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო</p> <p>© Ministry of education and culture of the Autonomous Republic of Abkhazia</p>	<p>ISBN 978-9941-???????????</p> <p>ტირაჟი: 200 ცალი.</p> <p>დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი“, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 ტ. 239-15-22, E-mail: meridiani777@gmail.com</p>
---	---

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა საქართველოში I საუკუნის 50-70-იან წლებში მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს. მოციქულები მატათა და სვიმონ კანანელი საქართველოში არიან დაკრძალულები: მატათა - აჭარაში, ხოლო სვიმონ კანანელი აფხაზეთში.

საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 8000-მდე ეკლესია-მონასტერია. აფხაზეთში შემორჩენილი ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ ამავე დროს საერთოს პოულობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან, რადგან ისინი ერთ ეთნოკულტურულ წიაღშია შექმნილი. მათი უმეტესობა შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

1993-2008 წლებში რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ, 350 000-ზე მეტმა ადგილობრივმა, უმეტესად ქართველმა მოსახლეობამ დატოვა ისტორიული საცხოვრისი. შესაბამისად, აფხაზეთში ეთნიკური სურათი ხელშეწყობად შეცვალა. ყოველივე ამის შემდეგ ოკუპანტებმა განაგრძეს წინამორბედთა მიერ დაწყებული საქმე - აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსფორმაცია - ტოპონიმების ცვლა. ამასთანავე რუსულ ყაიდაზე გადაწყობის მიზნით ტაძრებისა და ეკლესიების ინტერიერისა თუ ექსტერიერის შეცვლა ან განადგურება. ყოველივე ეს მიმართული იყო და არის აფხაზეთში ქართველთა ისტორიული კვალის წაშლისაკენ, ისტორიის ფალსიფიკაციისაკენ, აფხაზეთში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის აფხაზების გარუსებისა და მხარის საბოლოოდ ასიმილაციისაკენ.

წინამდებარე კრებულში, შესულია განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის მქონე ძეგლები, მას თან ერთვის აფხაზეთის იმ ძეგლთა ნუსხა, რომელთაც საქართველოს ეროვნული მნიშვნელობისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული. კრებულის გამოცემა მცდელობაა ჩვენი მეგობარი ქვეყნების მოქალაქეებს, აფხაზეთის საკითხით დაინტერესებულ პირებს, სპეციალისტებს მივაწოდოთ მოკლე ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რა კულტურული მემკვიდრეობაა ოკუპაციის ზონაში და თუ რა ვანდალური ქმედებები განხორციელდა მათ მიმართ, თუ რა საფრთხეებია აფხაზეთში მომავალში მოსალოდნელი თუ არსებული მდგომარეობა შენარჩუნდა.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის განადგურების შეჩერება მოხერხდება, რამეთუ მიგვაჩნია რომ, ეს არა მარტო ქართველთა და აფხაზთა სიმდიდრეა, არამედ მას ზოგადსაკაცობრიო კულტურული მნიშვნელობა გააჩნია, რამეთუ იგი მსოფლიოს ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია.

* * *

A lot has been written about the logic liaison of historical events and plenty of significant conclusions have been made consequently. Present and future are tightly linked with each other and their interrelation defines the peculiarities of historical events.

By the end of the 20th century, the weakening and destruction of the Soviet Union started, as a result of which a different kind of political reality emerged in Eastern Europe as well as in almost whole Asia. Thus, an irreversible process of appearing the new states and redistribution of the political powers began. In this rough period, Georgia managed to declare independence and begin to construct a new sovereign republic. However, this road that many had envisaged to be very simple turned out to be extremely difficult and tragic. It became clear shortly after the declaration of the Independence that the maintenance of the state territorial integrity and sovereignty would require considerable political experience and adequate steps to be taken. The problem of separatism was emerged in two historical parts of Georgia – Tskhinvali region (Samachablo, former Soviet Socialist District of Autonomous South Ossetia) and in Autonomous Republic of Abkhazia (former Soviet Socialist Republic of Autonomous Abkhazia). In both regions, separatists were backed and managed by reactionary Russian forces. All this prepared a fertile ground for the new stage of Russian-Georgian war, which from time to time grew into armed conflict. As a result of this, we received a broken up Georgia, 20% territory of which is occupied by Russia. Besides, the Autonomous Republic of Abkhazia and Tskhinvali region (Samachablo) were acknowledged by Russia as independent states. Unfortunately, some other countries have also shared this recognition.

The current reality should not be considered as the consequence of solely the political life of the end of the 20th century. It began two centuries earlier. Within this period, tens of military confrontations had taken place between the two countries, as well as strict punitive actions were carried out against those Abkhazians who participated side by side with Georgians in the fight for Georgian independence.

Within all this period, Russia fought in multiple directions in order to bring Abkhazia – inseparable part of Georgia - under its control. Naturally, Russia was also targeting at historical-cultural values of the mentioned territory, on which the ancient Georgian inscriptions and mural paintings dating back to consequent epochs have been preserved.

Georgia is one of the most ancient Christian countries. It is commonly known that in the 50-70s of the first century, Chris-

tianity was preached here by the Apostles Andrew, Simon and Matata. The last two are buried in Georgia – Matata – in Adjara and Simon – in Abkhazia.

There are almost 8000 churches and monasteries in the whole Georgia. The Christian architectural monuments that have reached the modernity in Abkhazia are characterized by certain peculiarities. However, they have something in common with contemporary monuments of Eastern and Western Georgia as long as they had been constructed in one and the same ethno-cultural environment. The majority of them is included in the list of Cultural Heritage Monuments of Georgia.

In 1993-2008, following the Abkhazian occupation by Russia, over 350 000 locals, mainly of Georgian ethnicity, quit their historical homeland. Consequently, the ethnic picture of Abkhazia was artificially changed. After that, the occupants carried on the business started by their predecessors – transforming the geographic names of the Abkhazian territory. Here with the intention to convert everything to the Russian manner, they are started to change or destroy the interiors and exteriors of churches. All these efforts were and are directed to demolishing the historical trace of Georgians, to the falsification of history, to the rusification of the local population, including Abkhazians, and to the final assimilation of the region.

In the upcoming collection, monuments of particular historical-cultural importance have been included. Attached is the list of those shrines of Abkhazia that have been conferred the status of National Importance Monument and Cultural Heritage Monument. By publishing this compilation, we try to give short information to the citizens of our friend countries, as well as to those who are interested in the issue of Abkhazia, and specialists too, about the cultural heritage that is located in the occupied territory and tell them what kind of vandal activities were carried out towards them, as well as about the feasible threats in future if the Status Quo is retained.

We hope that by means of the aid of international commonwealth and respective organizations, it will become possible to stop the process of destroying the Georgian cultural heritage in Abkhazia as long as we believe that this is not only the richness of Georgians and Abkhazians but also, they possess universal cultural significance, for they are inseparable parts of the world civilization.

აფხაზეთის დოლმენები

აღმოჩენის ადგილი: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სოფლები - ეშერა, აზანთა, ოთხარა, აჭანდარა, გორანა, ყულანურხვა, შრომა; დოუს უღელტეხილი, მდინარე ფსოუს ხეობა და სხვა.

აღწერა: დოლმენები უძველესი მეგალითური სამარხი ნაგებობებია, რომლებიც აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის უძველესი დოლმენები ადრე ბრინჯაოს ხანისაა. მათი მშენებლობა ძვ. წ. III ათასწლეულის II-ნახევარში დაიწყო. ამ ხანის აფხაზეთის დოლმენები მომცრო და ტლანქად ნაგებია. შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) დოლმენები კი უფრო მოზრდილი და უკეთ ნაგებია.

არქეოლოგიურად ყველაზე უკეთ შესწავლილია სოფელ ეშერაში აღმოჩენილი დოლმენები. აფხაზეთის დოლმენები აგებულია ოთხ-ოთხი ვერტიკალურად დაყენებული მასიური ბრტყელი ქვისაგან და ასეთივე ქვითაა გადახურული (ცალკეული ქვების წონა 50 ტონას აღემატება). ზოგ დოლმენს იატაკადაც ქვის ფილა აქვს. აფხაზეთის დოლმენების გეგმა ტრაპეციის ფორმისაა. წინა ფართო კედელში, რომელიც უბირატესად მოქცეულია სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით, გამოჭრილია 0,4 მ. დიამეტრის მრგვალი ხვრელი, რომელიც ქვის საცობით იხურებოდა. გვერდითა კედლებსა და იატაკის ქვებზე სიმკვრივისათვის ხშირად ნარიბანდებია ამოკვეთილი კედლების გასწვრივ, გარედან კი დიდი ქვებია შემოწყობილი.

DOLMENS OF ABKHAZIA

PLACE OF DISCOVERY: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, the villages of Eshera, Azanta, Otkhara, Achandara, Gorana, Kulanurkhva, Shroma, Dou Pass, river Psou gorge and elsewhere and etc.

DESCRIPTION: It seems likely that dolmens were family burials, discovered in Abkhazian territory. The construction of the earliest dolmens of Abkhazia began in the second half of the 3rd Mill. Better built and vaster in size are dolmens built in the Mid Bronze Age (first half of the 1st Mill. B.C.)

Eshera dolmens are best studied archaeologically. Dolmens of Abkhazia were constructed of four (on each side) massive flat stones set vertically and roofed by the similar stone (weight of individual stones exceeds 50 t.). Some dolmens are provided with a stone slab on the floor. The dolmens are of a trapezoid plan. A round hole (diameter – 0,4 m.) is cut in the wide front wall, which is predominantly oriented towards South or South-East. The hole was locked with a stone plug. Halved joints, arranged for the sake of solidity, are often found on the lateral walls and floor slabs, from the outside, large stones are edged around the walls.

In the Dolmens apart from disorderly scattered bones have been found axes, spear tips, a variety of headpieces, pottery and etc.

დოლმენებში, გარდა უწესრიგოდ მიმოფანტული ძეგლებისა, აღმოჩენილია ცულები, შუბისპირები, სამკაულები, თიხის ჭურჭელი და ა.შ.


აქამდინდელი მდგომარეობა: დოლმენების დიდი ნაწილი ახლა სრულიად მოუვლელია, რის გამოც არსებობს მათი განადგურების საფრთხე. აფხაზეთის დოლმენების ცალკეული ექსპონატები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

აფხაზეთის დოლმენებს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი



CURRENT CONDITION: Today, a large part of dolmens is neglected and there is a threat of their destruction. The Separate exhibits are kept at the Georgian National Museum.

DOLMENS HAVE BEEN GIVEN THE STATUS OF NATIONAL IMPORTANCE MONUMENT



სოხუმის სტელა

აღმოჩენის ადგილი: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სოხუმის მუნიციპალიტეტი, მდინარე ბესლეთის მახლობლად.

აღწერა: სოხუმის სტელა წარმოადგენს საფლავის ქვას, იგი მარმარილოსგან არის დამზადებული და აღმოჩენილია 1953 წელს მდ. ბესლეთისა და შავი ზღვის შესართავთან, ამჟამად ზღვით დაფარული უძველესი ქალაქის ნაწილში. სტელა (სიმაღლე 157 სმ; სიგანე 92 სმ) ოთკუთხაა, სამფიგურიანი. მიცვალებული გამოხატულია სავარძელში მჯდომარე პოზაში. მარჯვენა ხელი მოხვეული აქვს ემაწვილზე, რომელიც მის მუხლებთანაა დაჩოქილი. უკანა ფონზე გამოსახულია ანტიკურ პეპლოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს პატარა ყუთი, სავარაუდოდ, მიცვალებულისთვის ჩასატანებელი სამკაულით. მიიჩნევა, რომ ეს არის მიცვალებულთან გამოთხოვების სცენა. მთელი კომპოზიცია, დეკორი, დამზადების ტექნიკა ტიპურია ადრე-ანტიკური ხანის ხელოვნებისთვის და დათარიღებულია ძვ.წ. 430-420 წლებით. სტელის მთელი კომპოზიცია ანტიკური გავლენითაა შექმნილი, აშკარაა, რომ სტელა დამზადებულია ბერძენისთვის და განთავსებული იყო მის საფლავზე, რაც სოხუმში ბერძენ მოახალშენეთა მნიშვნელოვანი კასტის არსებობას ადასტურებს.

აქსაიონდელი მემორიალი: სტელა ინახება სოხუმის მუზეუმში. მისი შესწავლა ვერ ხერხდება, რადგან ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

SOKHUMI STELLA

PLACE OF DISCOVERY: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, Sokhumi municipality, near of the river Besleti.

DESCRIPTION: Sokhumi Stella is a grave stone, which was made of the marble and was found in 1953 at the estuary of the river Besleti and Black Sea, in the old part of the town now covered with the sea. Stella (Height 157; Width 92), is square and had three figures on it. The dead is depicted seated in the armchair. His right hand entwines a naked child, who is located at his knees. At the background is depicted a young woman clad in the Antique peplum. She has a small box in her left hand; probably the jewels given to the dead are placed there. This is the scene of bidding farewell to the dead person. The whole composition, décor and the technique is typical to the early antique art and must be dated from the 430-420 B.C. The whole composition of the Stella is made under the influence of the antique style. The Stella must have been made for a Greek man and was erected on his grave. This fact proves the existence of the important caste of the Greek newcomers in Sokhumi.

CURRENT CONDITION: Stella is kept at the museum of Sokhumi. It is impossible to study, because the territory is currently occupied by Russia.



სტელა დაცულია სოხუმის მუზეუმში

Stella is kept at the museum of Sokhumi



ცანდრიფშის ტაძარი

ადგილმდებარეობა: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, გაგრის მუნიციპალიტეტი, დაბა განთიადი.

კომალქსში შიგნით ნაგებობა: ტაძარი.

ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა: დარგის სპეციალისტთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცანდრიფში სწორედ ის ტაძარია, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565) აბაზგების ტომს მათი გაქრისტიანებისას აუგო. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილია თეთრი მარმარილოს საფლავის ქვის ფრაგმენტი, ბერძნული ასომთავრული წარწერით. როგორც ჩანს, ის ადგილობრივი საერო ან სასულიერო წარჩინებული პირის საფლავს განეკუთვნებოდა. წარწერა თარიღდება VI საუკუნით.

ცანდრიფშის ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. იგი აგებულია საშუალო ზომის სწორი ფორმის კირქვის კვადრებით, მშენებლობისას გამოყენებულია ასევე სხვადასხვა ზომის ბრტყელი აგური.

აქსაჟინდელი მდგომარეობა: ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია. არსებული ინფორმაციით, ტაძარი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, საჭიროებს გადაუდებელ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს.

ცანდრიფშის ტაძარს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი.

TSANDRIPSHI CHURCH

LOCATION: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, Gagra municipality, small town of Gantiadi.

CONSTRUCTION INSIDE THE COMPLEX: the church.

HISTORICAL-ARCHITECTURAL DESCRIPTION: Experts of the respective field have suggested that it is the church, which was built by the Byzantine Emperor Justinian I- (527-565) for Abazg tribes when they got Christianized. In the ruins of the Basilica was found a fragment of the tombstone with the Greek uncial inscription. It seems most likely that the inscription belonged to the tomb of a clerical or secular dignitary of Abkhazia. Name of the buried is lost. The inscription is dated back to the 6th c.

The church is a three-nave basilica, built of medium-size limestone Quadra of regular shape and flat brick of varied sizes.

CURRENT CONDITION: The territory is currently occupied by Russia, because of which it is impossible to study and to conduct the respective works. The church is in a heavy physical condition. But we have information that, it needs urgent conservation and restoration works.

TSANDRIPSHI CHURCH HAS BEEN GIVEN THE STATUS OF NATIONAL IMPORTANCE MONUMENT



გვერდითი ნავი / lateral nave



მთავარი ნავი, ხელი აღმოსავლეთისკენ / main nave, view to the east



მთავარი ნავი, ხელი დასავლეთისკენ / main nave, view to the west

ძველი ბაზრის ბაზილიკა

OLD GAGRA BASILICA

ადგილმდებარეობა: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი გაგრა.

კოორდინატები: ტაძარი.

ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა: ეკლესია თარიღდება VI საუკუნით. ის წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას. ტაძარი აგებულია უხეშად დამუშავებული კვადრების სწორი რიგებით. მთავარ ნავს შესასვლელი აქვს დასავლეთიდან, ხოლო სამხრეთ ნავს გრძივი კედლიდან. სამხრეთი ნავი, მთავარ ეკლესიას უერთდება ორი მცირე კარით. ერთი კარით გავდივართ, ასევე ჩრდილოეთის ეგვტერში, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი შესასვლელიც აქვს დასავლეთ კედელში. მთავარი ეკლესია ნათდება სამი სარკმლით, სამხრეთ კედელზე და თითო-თითო სარკმლით დასავლეთ კედელსა და საკურთხეველში. ტაძრის გაფორმება შემოფარგლულია მხოლოდ ე.წ. “ბოლნური” ჯვრებით, რომელიც განთავსებულია დასავლეთი კარის ტიმპანზე და სარკმლის გვერდით. ძველი გაგრის ტაძარი VI-IX საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სამეკლესიანი ბაზილიკების ანალოგიურია.

აშაფინდელი მდგომარეობა: ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია. ჩვენთვის ცნობილია, რომ ტაძარი საჭიროებს გადასურვის შეცვლას.

ბაზრის ბაზილიკას მიენიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

LOCATION: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, town of Gagra.

CONSTRUCTION INSIDE THE COMPLEX: Church.

HISTORICAL-ARCHITECTURAL DESCRIPTION: The church is dated back to the 6th century. The church is represented by three-church basilica. It is constructed with roughly defined ashlar stones, with straight rows. Entrance of the main nave is located in the west part, whilst to the south nave - from the elongated wall. The south nave is connected to the main church with two small doors. One door leads us to the north side chapel, which has its own independent entrance into the west wall. The main church is lit with three windows on the south wall and with one window each on the western wall and in alters. The design of the church is surrounded by “Bolnisi” crosses, which is located on the east door timpani and next to the window. The old Gagra basilica is very similar to the three-church basilica samples spread in Georgia in the 6th – 9th centuries, particularly, to the architecture of the churches constructed in Eastern Georgia.

CURRENT CONDITION: The territory is currently occupied by Russia, because of which it is impossible to study and to conduct the appropriate works. But we have information that the appearance of the church is satisfactory, the roof needs a change.

GAGRA BASILICA HAS BEEN GIVEN THE STATUS OF CULTURE HERITAGE MONUMENT



ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან / view from south-east



ხელი ჩრდილო-დასავლეთიდან / view from north-west



ინტერიერი, სამხრეთი კედელი / interior, south wall



ინტერიერი, კამარა / interior, vault

დრანდის ეკლესია

ადგილმდებარეობა: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, გულრიფშის მუნიციპალიტეტი, სოფელი დრანდა.

კოორდინატები: გუმბათიანი ეკლესია.

ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა: დრანდის ეკლესია VI-VIII საუკუნეების ძეგლია. არსებობს ცნობები, რომ დრანდა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე დიდის ბრძანებით, 551 წელს აიგო და თავიდან კონსტანტინოპოლის ეკლესიაში შემაჯავლი, აბაზგიის ეპარქიის დაქვემდებარებაში იყო.

VIII საუკუნეში, დრანდა აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს ეპარქიის ცენტრად იქცა, რომელმაც აქ XVII საუკუნემდე იარსება. დრანდის ბოლო ეპისკოპოსი გაბრიელი აბაზგიისა და აფხაზების შემოსევების გამო, იძულებული გახდა იერუსალიმში წასულიყო.

1637 წელს, ტადარი მთლიანად გამარცხეს და გადაწვეს თურქმა დამპყრობლებმა. 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ტადარი ხელმეორედ დაიწვა და ფრესკები განადგურდა. 1880 წლიდან, რუსული ცარიზმის კოლონიური მმართველობის პერიოდში, სხვა ტაძრებთან ერთად ხდებოდა დრანდის „რუსიფიკაცია“. დრანდას ჯერ კიდევ მაშინ, ქართული ისტორიული კვალის საბოლოოდ წაშლის მიზნით, რუსული ყაიდის ხანვისებრი გუმბათი დაადგეს, რითაც მისი ისტორიული იერსახე დაამახინჯეს.

1928 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (1921 წ.) შემდეგ კომუნისტებმა დრანდის ტადარი გააუქმეს, ეკლესიის შენობის ნაწილი, სასჯელადსრულების დაწესებულებად გადააკეთეს, ნაწილში კი გულრიფშის

DRANDA CHURCH

LOCATION: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, Gulripshi municipality, village of Dranda.

CONSTRUCTION INSIDE THE COMPLEX: the domed church.

HISTORICAL- ARCHITECTURAL DESCRIPTION: Dranda church is the monument of the 6th and 8th centuries. Dranda was built by the order of the Byzantine Emperor Justinian the Great was built in 551 and in the beginning was under the authority of Constantinople Church, the eparchy of Abazgia.

In the 8th century, Dranda became a center of Abkhazia that means a patriarchal Eparchy centre of Western Georgia, which existed here till the 17th century. The last bishop of Dranda Gabriel was forced to go to Jerusalem in the result of Abazian and Apsarian invasions.

In the 8th century, Dranda became a center of Abkhazia that means a patriarchal Eparchy centre of Western Georgia, which existed here till the 17th century. The last bishop of Dranda Gabriel was forced to go to Jerusalem as the result of Abazian and Apsarian invasions.

In 1637, the church was completely burnt and robbed by the Turkish conquerors. In 1878, during the Russian-Turkish war, the church was burned for the second time and mural paintings were destroyed. From 1880 year, under the Russian colonial authority period, was implemented “Russification” of Dranda together with the other churches. The Russian style, onion-shaped dome, was installed onto Dranda in order to destroy the Georgian historic trace.

რაიონის ადმინისტრაცია და სკოლა-ინტერნატი განათავსეს.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში არქიტექტორ-რესტავრატორ ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით დრანდის ტადარს ჩაუტარდა რესტავრაცია და მან თავდაპირველი სახე დაიბრუნა.

დრანდის ეკლესია ნაგებია აგურითა და რიყის ქვით, ტადარი გეგმაზე ჯვრის ფორმისაა, სამი სწორკუთხა მკლავით და წრიული ფორმის კუთხის ოთახებით. ამ სათავსებში შესასვლელი სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავიდანაა. გარედან ჯვარი სწორკუთხედშია ჩასმული. ეკლესიას აღმოსავლეთ მხარეს წახნაგოვანი აფსიდი აქვს. იგი სამშენებლო ტექნიკით, გეგმარებითა და პროპორციებით ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ნიმუშებს ენათესავება, მაგრამ დრანდის ეკლესიის აღმშენებელს ზოგი რამ ქართული ხუროთმოძღვრებიდანაც აუღია, კერძოდ, მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსად, აქაც აღმოსავლეთ ფასადზე სამი წახნაგოვანი შევრილი აფსიდი პატარა თაღებითაა გადაბმული.

აქსაიინდელი მდგომარეობა: ტადარი რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. რის გამოც მისი შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია.

2011 წელს აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ათეულობით ტადარი, მათ შორის დრანდის ეკლესიაც, ეწ „აფხაზურ ეკლესიას“ უვადო სარგებლობაში გადასცა. ქართული კვალის წასაშლელად ტადარი ოკუპაციის შემდეგ რუსულ ყაიდაზე, მთლიანად თეთრად გადაღებეს; ჩააყენეს ათამდე ვერცხლისფრად შეღებილი კარ-ფანჯარა, რის გამოც გახვრიტეს ეკლესიის კედლები, დაამონტაჟეს ვიდეოსათვალთვალო სისტემა; ტაძრის გარშემო მთლიანად

In 1928, the communists abolished the church, the part of which was transformed into the building of penitentiary facility, prison, and the rest of the space was turned onto the district committee of Gulripshi region and the boarding school.

In the 1970s, restoration of Dranda Church was implemented by the leadership of Georgian professor Tsintsadze and it regained its original appearance.

The church is built of brick and cobble-stone. Based on its building technique, plan and proportions it shows affinity with the samples of the Byzantine architecture. In the cross plan the shape of a three arms are rectangular. The entrance on this lockers are from south and north arms. From the outside cross is inserted in the rectangular form, the east side has a faceted apse. At the same time, builders of the Dranda church, seem most likely to be also familiar with the Georgian churches, namely, the church of Holy Cross in Mtskheta, or any other similar structure – otherwise, no explanation can be found to the minor arches on the upper part of the east façade, uniting three protruded apses; analogies of this motif can be found on the quoted churches only.

CURRENT CONDITION: The territory is currently occupied by Russia, on account which it is impossible to study and to conduct the necessary works.

In 2011 the de facto government of Abkhazia gave 40 churches, including Dranda, to the so-called “Abkhazian Church” in unlimited use. After its occupation, it was painted with white color at the Russian-style, inserted approximately ten silver-painted windows, in this process the walls of the church were executed; CCTV (contemporary, Video surveillance) system was installed; the soil around church was com-

მოსსნეს მიწის ფენა ისე, რომ არქეოლოგიური კვლევა არ განხორციელებულა. რეკონსტრუქციამ შეიწირა ტაძრის უნიკალური, VII საუკუნით დათარიღებული სანათლავი ემბაზი.

pletely removed, so that the archaeological research has not taken place. Reconstruction of the church destroyed unique baptize fonts, which date back to the 7th century.

დრანდის ტაძარს მინიჭებული აქვს საქართველოს
ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი

DRANDA CHURCH HAS BEEN GIVEN THE STATUS
OF NATIONAL IMPORTANCE MONUMENT



სედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან / view from north-east



ინტერიერი / interior



გუმბათი / dome



ახალი ემბაზი, რეკონსტრუქციის შემდეგ / new baptize fonts after reconstruction

ამბარას ეკლესია

ადგილმდებარეობა: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, მიუსერას კონცხი.

კომალქსში შემავალი ნაგებობები: ეკლესია, ზღუდე, საერო შენობათა ნანგრევები.

ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა: ამბარაში შემონახულია ადრე შუა საუკუნეების ხანის ქართული ხუროთმოძღვრების კომპლექსი - ეკლესია (VII – VIII სს.), ზღუდე (შუა საუკუნეები) და საერო შენობათა ნანგრევები (X ს.). ეკლესია ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებითაა შემოსილი. მან ჩვენამდე თითქმის პირვანდელი სახით მოაღწია, იგი ე.წ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობაა. მას დასავლეთ მხარეს ორსართულიანი ნართექსი და პატრონიკეები აქვს. მთავარი ნავის გადამხურავი კამარა გვიან შუა საუკუნეებშია აღდგენილი. ამბარის სამეკლესიანი ბაზილიკა მნიშვნელოვანი ნიმუშია ამ ტიპის არქიტექტურულ ძეგლთა შორის.

ამჟამინდელი მდგომარეობა: ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების შესრულება შეუძლებელია. ტაძარი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, ესაჭიროება სასწრაფო რეაბილიტაცია.

ამბარას ეკლესიას მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სტატუსი

AMBARA CHURCH

LOCATION: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, Gudauta municipality, on the cape of Miusera.

CONSTRUCTIONS INSIDE THE COMPLEX: the church, the Fence and the rubbles of secular buildings.

HISTORICAL-ARCHITECTURAL DESCRIPTION: Ambara preserved early medieval Georgian architecture complex – church (7th –8th cc.), Fence (Middle Ages) and the ruins of secular buildings (10th c.). The church is adorned with roughly processed ashlar stones that have survived almost in its original form. It is the so-called three-nave basilica building. On the west side, the church has two-story narthexes and upper gallery. The main nave vault was restored in the late middle ages. Ambara three-nave basilica represents an important example of this type's architectural monuments.

CURRENT CONDITION: The territory is currently occupied by Russia, because of which it is impossible to study and to conduct the necessary works. The church is in a heavy physical condition, it needs urgent rehabilitation.

AMBARA CHURCH HAS BEEN GIVEN THE STATUS OF CULTURE HERITAGE MONUMENT



დასავლეთი ფასადი / western façade



სამხრეთი ფასადი / southern façade



ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისკენ / interior, view to the east



ინტერიერი, ხედი დასავლეთისკენ / interior, view to the west

ბზიფის ტაძარი

ადგილმდებარეობა: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სოფელი ბზიფი.

კოვალაქსში შიდა ნაგებობები: გალავნით შემოზღუდული ციხე და ტაძარი.

ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა: ბზიფის ციხის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი, „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, სამი შვერილი აფსიდით და თარიღდება IX საუკუნის II ნახევრით. მისი კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვით, კარ-სარკმლები თავსართებითაა შემკული. ტაძრის აღმოსავლეთით ჩანს კიდევ ერთი, უფრო ძველი ტაძრის ნაშთები.

ბზიფის ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ციხის ზედა ნაწილში მდებარეობდა ტაძარი, ქვედა ნაწილის ეზოში გადიოდა ძველი გზა. ციხე კეტავდა ბზიფის ხეობას და გადასასვლელს მდინარეზე. ციხის გალავანს, რომელიც აგებულია კარგად დამუშავებული კირქვის კვადრებით, დატანებული აქვს ოთხკუთხა და ნახევრად წრიული კოშკები, კონტრფორსები და კარიბჭე.

აქამდინელი მდგომარეობა: ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ეკლესიაც და ციხეც, მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. ეკლესია თითქმის ნანგრევებადაა ქცეული და სასწრაფოდ საჭიროებს კონსერვაციას.

ბზიფის ტაძარს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

BZIPI CHURCH

LOCATION: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, village of Bzipi.

CONSTRUCTIONS INSIDE THE COMPLEX: the fenced fortress and the church.

HISTORICAL-ARCHITECTURAL DESCRIPTION: The church of Bzipi fortress is a domed structure of “cross-in-square” type with three projecting apses and is dated to the second half of the 9th c. Its walls are faced with hewn stone, doors and windows are adorned with the terminations. To the east of the church, remains of an older church are visible.

Bzipi fortress consisted of two parts. The old road crossed the courtyard of the lower part. The fortress would lock the Bzipi gorge and a pass over the river. Rectangular and semi-circular towers, buttresses and a porch were embodied in the fortress enclosure built of well hewn limestone Quadra.

CURRENT CONDITION: The territory is currently occupied by Russia, because of which it is impossible to study and to conduct the appropriate works.

But we have information that, the church and fortress are in poor physical condition. The church has become complete destruction.

BZIPI CHURCH HAS BEEN GIVEN THE STATUS OF CULTURE HERITAGE MONUMENT



სამხრეთი ფასადი / southern façade



ინტერიერი / interior



აღმოსავლეთის ფასადის სარკმლები / windows of eastern façade

ბიჭვინთის ეკლესია

ადგილმდებარეობა: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, გაგრის მუნიციპალიტეტი, დაბა ბიჭვინთა.

კოორდინატები: ვიზუალური ნაგებობები: გუმბათიანი ეკლესია, ნაქალაქარი, დარბაზული ეკლესია.

ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა: საეკლესიო გადმოცემით, ბიჭვინთის სანახებში I საუკუნეში წმ. ანდრია მოციქულს უქადაგია და ამიტომაც ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრას „წმ. ანდრიას საყდრად“ მოიხსენიებენ. დღევანდელი გუმბათიანი საკათედრო ტაძარი X-XI საუკუნეებშია აგებული. III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად იქცა, რასაც მოწმობს ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. საუკუნეების განმავლობაში ბიჭვინთაში მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, რომელიც XVI საუკუნის შუა ხანებში, ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შემოსევების შემდეგ, გელათში გადმოვიდა. XVII საუკუნეში ბიჭვინთის ტაძარი მიტოვებული იყო და არ ფუნქციონირებდა. XVIII საუკუნეში ტაძარს მენი დაეცა და ძლიერ დაზიანდა.

ბიჭვინთის ტაძარი წარმოადგენს გეგმით წაგრძელებულ ჯვაროვან-გუმბათოვან ნაგებობას, დასავლეთით ნართექსით, ხოლო აღმოსავლეთით 3 შვერილი აფსიდით. აღსანიშნავია, რომ ნართექსი საქართველოში იშვიათად გვხვდება, შვერილი აფსიდები კი ახასიათებს საქართველოს ადრინდელი პერიოდის ეკლესიებს, ხოლო უფრო გვიან, დასავლეთ საქართველოს, შავი ზღვის სანაპიროს ძეგლებს (თუმცა აქა-იქ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც). ტაძრის დასავლეთი მკლავი სამხრეთი პატრონიკეთია აღჭურვი-

BITCHVINTA CHURCH

LOCATION: Georgia, the Autonomous Republic of Abkhazia, Gagra municipality, small town of Bitchvinta.

CONSTRUCTIONS INSIDE THE COMPLEX: the domed church, the old settlement and the hall church.

HISTORICAL-ARCHITECTURAL DESCRIPTION: According to the church legend, in the first century in Bitchvinta suburbs St. Andria preached and that's why Bitchvinta Episcopal Cathedral is called "St. Andrea church". Current domed church was constructed in the 10th-11th centuries. At the end of the 3th century and at the beginning of the 4th century Bitchvinta became a significant religious center, as evidenced by bishop Stratofile's participation in the first world church council in 325. For centuries in Bitchvinta the religious center of western Georgia was located, which in the middle of the 16th century after invasion of mountaineers was moved to Gelati. In the 17th century Bitchvinta church was abandoned and did not have any functions. In the 18th century the church was struck by lightning and was seriously damaged.

Bitchvinta church represents the elongated cross-domed building by the plan, which in the west has narthexes and in the east - the 3 protruding apses. It should be noted that in Georgia narthex is rarely met, and protruding apses are characterized to the early period churches of Georgia, later, to the west Georgia, particularly, Black Sea Coast monuments (though we can find it in some places of east Georgia). The west arm is equipped with tripartite upper gallery, the dome is



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან / view from south-west

ლი. გუმბათი ემყარება საკურთხევლის კედლებსა და ორ ბურჯს. ბიჭვინთის ტაძარი ნაგებია მონაცვლეობით ნაწყობი ბრტყელი აგურისა და გათლილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით. გუმბათის ყელი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. ტაძარი შიგნით მოხატული იყო, მაგრამ XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ის შეაკეთეს, შეცვალეს გუმბათის ფორმა, შელესეს და შეათეთრეს ფასადები, რის გამოც ნაგებობამ სახე იცვალა, დამახინჯდა და ძველი მოხატულობა განადგურდა, განადგურდა ასევე ნართექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩაშენებული პატარა, აფსიდიანი საძვალე და მის კედლებზე იმდროისათვის შემონახული მოხატულობა, რომელიც XVI საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული. XX საუკუნის 60-იან წლებში ქართველი სპეციალისტების - აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის რეკომენდაციითა და პროფესორ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით, ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა შელესილობა, გამოიკვალა სახურავი, მოწესრიგდა ეზო და ტაძრის თავდაპირველი იერსახე აღდგა.

სამუშაოების შესრულების დროს ტაძრის ინტერიერში აღმოჩნდა ძველი მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. ტაძრის ირგვლივ მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაა: პატარა ეკლესიები, სამლოცველოები, მონასტრის საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები.

აქუაინფორმაციული მდგომარეობა: ტერიტორია ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია. მთავარ ტაძარს ესაჭიროება გადახურვის გამოცვლა, ხოლო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა ძალზე რთულია.

ბიჭვინთის ტაძარს მიენიჭებოდა აქვს საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი

based on the walls of alters and two pillars. Bichvinta church is constructed with interchangeably formed flat bricks and horizontal stone rows. The church was painted inside, but in the second part of the 19th century it was totally plastered, repainted in white, that resulted in destruction of old mural painting. So was the small grave with apses, built in the southwest corner of the narthex. The mural paintings preserved on its wall date from the second part of the 16th century. In the 1830s, by the order of Russian emperor the church was rehabilitated, was changed the shape of dome, was plastered and whitewashed the facades, after which the construction had changed its appearance and distorted. In the 1960s, by the recommendation of Giorgi Chubinashvili and by the leadership of Giorgi Tsintsadze was held restoration works in the church, plasters was removed, the roof was changed and the garden was arranged and was restored the original form of the church.

During the restoration works in the church interior was found a small fragments of old mural painting. Around the church there are several buildings with different meaning, small churches, chapels, the settlement and economic buildings of the church.

CURRENT CONDITION: The territory is currently occupied by Russia, because of which is impossible to study and to conduct the according works.

The main church needs a replacement of roof. The physical condition of construction inside the complex is very difficult.

BITCHVINTA CHURCH HAS BEEN GIVEN THE STATUS OF NATIONAL IMPORTANCE MONUMENT



ნართექსის ინტერიერი, მოხატულობა / interior of narthex, mural painting



აღმოსავლეთი ფასადის ჯვრები / crosses of eastern façade



აღმოსავლეთი ფასადი / eastern façade



ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისკენ / interior, view to the east

ბიჭვინთის მოზაიკა

BICHVINTA MOSAIC

აღმოჩენის ადგილი: საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, გაგრის მუნიციპალიტეტი, დაბა ბიჭვინთა.

აღწერა: ბიჭვინთის მოზაიკა განეკუთვნება VI ს-ის მოზაიკურ მხატვრობას, რომლითაც შემკული იყო IV ს-ის სამნავიანი ბაზილიკის იატაკი. ბაზილიკის ნანგრევები აღმოჩნდა ბიჭვინთის კონცხზე 1952 წელს დაწყებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

მოზაიკა შესრულებულია ადგილობრივი ფერადი ქვის (თეთრი, შინდისფერი, ყვითელი, შავი) ოთხკუთხა ნატეხებით, სუფთად დაფქვილი აგურითა და კირის სსნარით. ფონი აგურისფერია. შესრულებულია ადგილობრივი ოსტატების მიერ. ორნამენტის შუა სვეულში ჩართულია ბერძნული წარწერა, სადაც მოხსენიებულია ქტიტორი ორელი. თავისი ხასიათით ბიჭვინთის მოზაიკა უახლოვდება მახლობელი აღმოსავლეთის ელინიზებული ქვეყნების – სირიისა და პალესტინის მოზაიკურ მხატვრობას. საკურთხევლის აფსიდის ცენტრში დიდი მონოგრამაა, ე. წ. „ქრიზმა“, შემკული „ალფა“ და „ომეგას“ ნიშნით. მონოგრამის ორივე მხარეს აკანთის სვეულების ფართო ზოლია, რომელიც ჩარჩოსავით ევლება მთელ კომპოზიციას. ქრიზმის მარცხნივ მცენარის აყვავებული ნაყოფმოსხმული შტოა ფრინველთა გამოსახულებით. კომპოზიცია გაფორმებულია გეომეტრიული ორნამენტებით (რომბები, ნახევრადრომბები, წრეები). ნართექსის მოზაიკა დეკორატიული ხასიათისაა. გრეხილებისაგან შექმნილი სხვადასხვა ფორმის მცირე არეებში ჩასმულია ფრინველებისა და თევზების მოზაიკური ფიგურები. კარიბჭესთან გამოსახულია შადრევანი და

